

# მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების თეორიები

ნანი მამფორია  
სტუ-ს დოქტორანტი

კრიზისი ბერძნული სიტყვაა (crisis), რაც სახიფათო, მერყევე მდგომარეობას ნიშნავს. კრიზისი პირველ რიგში გამოიხატება იმაში, რომ საქონელი ვერ იყიდება, რადგან ის ნაწარმოებია დიდი რაოდენობით, ვიდრე მისი ყიდვა შეუძლია მომხმარებელს.

კრიზისის დროს მშრომელთა მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უარესდება, ვიდრე სხვა დროს. „ის, რომ ადამიანი მუდმივად განიცდის ფულის ნაკლებობას, უფრო მეტიც, ხშირად პურის ფული სანატრელი აქვს, კაცობრიობის ტრაგედიაა - ამბობს ბოდო შეფერი თავისი წიგნის „მანი ანუ ფულის ანა-ბანა“ წინასიტყვაობაში. იქვე აღნიშნავს: ყველას სურს იყოს ბედნიერი, წარმატებული და ფულიანი. ეს სავსებით გასაგები სურვილია. ჩვენ გვაქვს ამის უფლება, დაბადებიდანვე. საკმარისი ფულის მქონე ადამიანები თვითონ ხომ ცხოვრობენ სხვებზე უკეთესად, ამავე დროს შეუძლიათ სარგებელი მოუტანონ სხვებს.

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასსამბლემ დაამტკიცა და გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

მუხლი 25, თავი 1. ვკითხულობთ:

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ისეთი ცხოვრების დონე საკვებით, ტანსაცმლით, საცხოვრებელით, სამედიცინო მომსახურებით და სხვა სპეციალურ მომსახურებებითურთ, რომელიც აუცილებელია მისი და

მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, მას აქვს აგრეთვე

უფლება იყოს უზრუნველყოფილი უმუშევრობის, ავადმყოფობის, დაინვალიდების, დაქვრივების, სიბერის ან მისგან დამოუკიდებელი გარემოებებით არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევებში.

ვხედავთ, როგორ მკაფიოდ ჩანს ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის უფლებანი. მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკაში ეს ხშირად განუხორციელებელია.

მსოფლიო ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების თითქმის ორასწლიანი პერიოდის მანძილზე, მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში კრიზისები მიმდინარეობდა. შეიმჩნეოდა წარმოების მზარდი დაცემა, ბაზარზე არარეალიზებული საქონლის და მომსახურების დაგროვება, ფასების დაცემა, ურთ-

ერთანგარიშსწორების მოშლა, საბანკო სისტემის კრაზი, სამრეწველო და სავაჭრო ფირმების გაკოტრება, გადატაკება, განადგურება, უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. სპეციალურ ლიტერატურაში ეკონომიკურ კრიზისებს ახასიათებენ, როგორც საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის დარღვევას. სწორედ ამ ისტორიული გამოცდილებიდან უნდა გამოვიდეთ კრიზისების განხილვისას.

**ეკონომიკური კრიზისი** - მეტ-ნაკლებად რეგულარულად განმეორებადი, აგრეთვე წარმოების არარეგულარული დროებითი დაცემაა. დრო ერთი კრიზისიდან მეორემდე არის ციკლი, ანუ წარმოების მოძრაობა თანამიმდევრულად დაკავშირებული ფასების გავლით - კრიზისი, დეპრესია, გამოცოცხლება, (გაცხოველება) აღმავლობა. წარმოების ციკლური განვითარების საფუძველია ეკონომიკური კრიზისი.

კრიზისი გამოიხატება იმით, რომ საქონელი წარმოებულია მეტი (ვიდრე ბაზარზე წარმოდგენილი მოთხოვნაა), ვიდრე შეიძლება მათი რეალიზება, ვინაიდან მოთხოვნა შეზღუდულია. რეალიზაციის შესაძლებლობათა შეზღუდვა იწვევს იმ სასაქონლო სიჭარბის გაზრდას, რომელიც ვერ პოვებს გასაღებას. შემდეგ ყველაფერი მიდის ჯაჭვური რეაქციით: მეწარმეები ამცირებენ წარმოებას და ათავისუფლებენ მუშებს. მკვეთრად იზრდება უმუშევრობა. მცირდება მყიდველობითი უნარი და შესაბამისად - გასაღება, რაც, თავის მხრივ, ვაჭრობის მოშლას იწვევს. საკრედიტო კავშირები ირღვევა. მეწარმეები განიცდიან საშუალებათა მკვეთრ უკმარისობას მიმდინარე გადასახადებისთვის. ბირჟებზე იწყება პანიკა - აქციათა, ობლიგაციათა და სხვა ფასიანი ქაღალდების კურსი სწრაფად ეცემა. უმაღლეს ვრცელდება სამრეწველო საწარმოების, საბანკო და სავაჭრო ფირმების გაკოტრების ტალღა. ეს ყველაფერი ნიშნავს საზოგადოების საწარმოო ძალების დიდ ნგრევას, მის მოშლას.

საერთოდ, კრიზისის თანამედროვე გაგება დაკავშირებულია ბრიტანელი ეკონომისტის **ჯონ მეინარდ კეინსის** (1883-1946) სახელთან. მისი ნაშრომების გამოჩენამდე კლასიკური თეორია კრიზისს განიხილავდა, როგორც საბაზრო ეკონომიკაში გარეშე ჩარევის შედეგს. კლასი-

კური თეორიის თანახმად, გარეშე ჩარევის გარეშე ეკონომიკაში მოქმედი ძალები ერთმანეთს აწონასწორებს. ამასთანავე, წონასწორობა რესურსების სრულ დასაქმებას გულისხმობს.

ჯ. მ. კეინსმა პირველმა დაასაბუთა წონასწორობის საერთო თეორია არასრული დასაქმების დროს. ამ თეორიაში წონასწორობა რესურსების სრული დასაქმებისას ხდება მხოლოდ კერძო შემთხვევა. ასეთ პირობებში კრიზისის მიზეზი არის ეფექტიანი მოთხოვნის ქრონიკული უკმარისობა. ამაში კეინსი გულისხმობს სამომხმარებლო მოთხოვნასაც და საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნასაც.

თავისი თეორიის აგებას კეინსი ამყარებს იმ მაკროეკონომიკური ცვლადების შერჩევაზე, რომლებიც ექვემდებარება შეგნებულ კონტროლს ან მართვას ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. ასეთი ცვლადები, რომლებიც განსაზღვრავენ შემოსავლის და დასაქმების დონეს, არის კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობა, მოხმარებისადმი მიდრეკილება, მიმოქცევაში ფულის რაოდენობა, ლიკვიდურობისთვის უპირატესობის მინიჭება ან პროცენტის ნორმა, ნომინალური ხელფასი. ნებისმიერი მათგანის ცვლილება ცვლის ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობას, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს გავლენა მოახდინოს ეროვნული წარმოების და დასაქმების სიდიდეზე.

კრიზისის შემდეგ იწყება **დეპრესია** - ესაა ციკლის ფაზა, რომელიც ხასიათდება მრეწველობის უძრაობით, ვაჭრობის მოდუნებით, თავისუფალი ფულადი კაპიტალის დიდი მასის არსებობით. ამ პერიოდში მზადდება წანამძღვრები შემდგომი გამოცოცხლებისა და აღმავლობისთვის. ნელ-ნელა იწყება გადასვლა დეპრესიიდან **გამოცოცხლების** ფაზაზე. კრიზისული რყევებიდან გამოსული საწარმოები წარმოების მოცულობას ზრდიან უწინდელ დონემდე. ამ პერიოდში ჩქარდება ფასების და მოგების ზრდა.

შემდეგ იწყება **აღმავლობის** ფაზა, როცა წარმოება სცდება უმაღლეს წერტილს, რომელსაც აღწევს კრიზისის ბოლოს წინა ციკლში. აღმავლობის პერიოდში ხდება ახალი საწარმოების აქტიური მშენებლობა და ძველების მოდერნიზაცია, იზრდება დასაქმება, მასთან ერთად კი საქონელზე მოთხოვნა მოსახლეობის მხრიდან და ა. შ. ფასები იზრდება, სპეკულაციური ბუმი იწყება, ვინაიდან სავაჭრო კაპიტალი ცდილობს შეისყიდოს, რაც შეიძლება მეტი საქონელი ფასების შემდგომი აწევის ანგარიშით, რითაც მრეწველებს უბიძგებს წარმოების კიდევ უფრო მეტ გაფართოებაზე. ბანკები დიდი სიამოვნებით გასცემენ საწარმოებზე სესხს, ვინაიდან ისწრაფვი-

ან მიიღონ შემოსავლის თავიანთი წილი. ეს იწვევს წარმოებისა და ვაჭრობის სტიქიურ გაფართოებას. იქმნება ჭარბწარმოების მორიგი ეკონომიკური კრიზისის წანამძღვრები.

თავიანთი შინაარსით ეკონომიკური კრიზისები იყოფა რამდენიმე ძირითად სახედ. საერთო კრიზისთან ერთად ხდება **შუალედური** კრიზისები. ასეთი კრიზისები დასაბამს არ აძლევს ახალ ციკლს, ისინი რაღაც დროით წყვეტენ აღმავლობის ან გამოცოცხლების ფაზის მიმდინარეობას. ეს კრიზისი ნაკლებად ღრმაა, ნაკლებად ხანგრძლივი, ვიდრე საერთო კრიზისი და ჩვეულებრივ ლოკალური ხასიათისაა. რაც უფრო ძლიერია შუალედური კრიზისი, მით უფრო სუსტია შემდგომი ციკლური.

**ნაწილობრივი** კრიზისი შუალედურისგან განსხვავებით მოიცავს არა მთელ ეკონომიკას, არამედ ეკონომიკური საქმიანობის რომელიმე სფეროს, მაგალითად, ფულადი მიმოქცევისა და საკრედიტო სფეროს (საბანკო კრიზისი გერმანიაში 1932 წელს).

**დარგობრივი** კრიზისი მოიცავს მრეწველობის ერთ-ერთ დარგს, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას და შეიძლება განვითარდეს ციკლის ნებისმიერ ფაზაში. იგი შეიძლება იყოს გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით: სტრუქტურული ძვრებით, განვითარების დისპროპორციულობით, დარგობრივი ჭარბწარმოებით.

სტრუქტურული კრიზისი არის კაპიტალისტური ეკონომიკის დისპროპორციული განვითარების შედეგი, რომელიც გამოწვეულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით, ეკონომიკის მილიტარიზმით, მისი სანედლეულო ან მონოდარგობრივი ორიენტაციით. ამ კრიზისებს შეუძლია მოიცვას რამდენიმე ციკლის პერიოდი.

2004 წელს ამერიკელ მეცნიერებს **ფინ კი-უდლანსა** და **ედვარდ პრესკოტს** მიენიჭათ ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში. ჟიურის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ მეცნიერებმა ეს უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს რეალური საქმიანი ციკლის (დ ჩ) თეორიის შემუშავებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილისათვის, რომელიც ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირებისა და პრევენციის საშუალებას იძლევა.<sup>1</sup>

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების მიზეზების, ხასიათის, შედეგებისა და პერიოდულად განმეორებადობის ალბათობასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა დიდ განსხვავებას აქვს ადგილი. ეკონომისტთა ერთი ჯგუფის აზრით, გლობალური ფინანსურ-

<sup>1</sup> В. Куликов „Цаголоскаиа школа” и ее нынешнее значение. Российский экономический журнал, 2004, №4, с. 56.

ეკონომიკური კრიზისი ზოგადად საზოგადოებათმცოდნეობასა და კერძოდ, ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული კრიზისის ერთ-ერთი გამოხატულებაა: „მთელი საზოგადოებათმცოდნეობა, დასავლეთის ეკონომიკური მეცნიერების ჩათვლით, ამჟამად კრიზისში იმყოფება. არც ერთი თეორია არ იძლევა დღეს პასუხს კითხვაზე - რა საზოგადოებაში ცხოვრობს კაცობრიობა და რა ელოდება მას თვალსაწიერ მომავალში. განა ნიშანდობლივი არ არის ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანებში ნობელის პრემია მეცნიერებს ენიჭებათ მხოლოდ კერძო და გამოყენებითი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის?“ - კითხულობს რუსი პროფესორი **გ. კულიკოვი**.

მსგავსი მოსაზრებაა ჩამოყალიბებული გერმანელი ეკონომისტების ერთობლივ სტატიაში „ფინანსური კრიზისი და თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ჩავარდნა“<sup>2</sup>. ცალკეული ეკონომისტების, მაგალითად, პოლონელი პროფესორის **გუგოჟ კოლოტკოს** კრიტიკა პირდაპირ არის მიმართული ეკონომიკური ორთოდოქსიის, ანუ ნეოლიბერალური ეკონომიკური დოქტრინის წინააღმდეგ. მეცნიერი კანონზომიერად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ნაკლებად შეეხო სკანდინავიის ქვეყნებს, რომლებსაც ნეოლიბერალურისაგან განსვავებული ეკონომიკური მოდელი აქვთ.<sup>3</sup>

ზოგადი თვალსაზრისით, კრიზისი არის მოვლენათა განვითარებაში რაღაც მკვეთრი გარდატეხა, რთული გარდამავალი მდგომარეობა, მძიმე სიტუაცია. მსოფლიოში კარგადაა ცნობილი კრიზისების სხვადასხვა თეორია. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ჯ. მ. კეინსის თეორია (კეინსიანიზმი), რომელიც თვლიდა, რომ საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის მიზანშეწონილია სახელმწიფოს აქტიური ჩარევა, ანუ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება. იგი მიიჩნევდა, რომ სრული დასაქმების მიღწევა, ასევე უმუშევრობისა და კრიზისების ლიკვიდაცია ამ გზით იყო შესაძლებელი.

ვფიქრობთ, ინტერეს მოკლებული არ იქნება განვიხილოთ სხვათა მოსაზრებაც. მრავალთა შორის გამოვყოფდით კრიზისების კვლევის **ჰოლანდიურ სკოლას**. ეს უკანასკნელი შეისწავლის, როგორც ზოგადად კრიზისის, ისე მისი კონკრეტული სახეობების - ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ტექნოგენური, ეკოლო-

გიური, დემოგრაფიული და ა. შ. შინაარსს, მიზეზებს, განვითარების კანონზომიერებებს. ამ სკოლის წარმომადგენელთა მიერ კრიზისი განმარტებულია, როგორც „საზოგადოებრივი სისტემის საბაზისო ფასეულობების და ნორმების, ან მისი ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზული საფრთხე, რომელიც წარმოშობს კარდინალური გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას შეზღუდულ დროსა და მაღალი ხარისხის გაურკვევლობის პირობებში“.

ჰოლანდიური სკოლის მიმდევართა თვალსაზრისით ეკონომიკური კრიზისების თეორია ემყარება შემდეგ უმნიშვნელოვანეს პოსტულატებს:

### **პირველი:**

კრიზისისათვის დამახასიათებელია გაურკვევლობა, ანუ ბიფურკაციის მდგომარეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება და კერძოდ, ეკონომიკა კრიზისის დროს და განსაკუთრებით პოსტკრიზისულ პერიოდში გზაჯვარედინზე იმყოფება. მას შეუძლია იმოძრაოს განახლებისაკენ, პროგრესისაკენ, ახალი თვისობრიობისაკენ, ან გადაგვარებისა და დესტრუქციისაკენ. ბიფურკაციის მგომარეობას ხშირად თანახლავს ინფორმაციის შეზღუდულობა, რაც მთლიანად სისტემის ნეტროპიის მიზეზი შეიძლება გახდეს.

### **მეორე:**

კრიზისისათვის ნიშანდობლივია მოულოდნელობა, რომელიც შეიძლება წარმოშვას ინფორმაციის ნაკლებობამ ან პირიქით, ჭარბმა „საინფორმაციო ხმაურმა“. ორივე მათგანი იწვევს გადაწყვეტილების მიღები პირის ან სტრუქტურის დეზორიენტაციას, მისგან გამომდინარე პანიკურ განწყობილებას ან გაუმართლებელ პასიურობას. საბოლოო ანგარიშით, ყოველივე ამას მოყვება არასწორი მოქმედება ან გაუმართლებელი უმოქმედობა.

### **მესამე:**

კრიზისს თან სდევს სისტემისათვის (ქვესისტემებისათვის) ზიანის მიყენების საფრთხე, რომელიც განხილული უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიღები ინდივიდების ან სტრუქტურების მიერ დაშვებული შეცდომების, ორგანიზაციული „ჩავარდნების“, გარემოს უსწრაფესი ცვლილების ურთიერთქმედებათა კანონზომიერი შედეგის სახით.

### **მეოთხე:**

კრიზისი, როგორც „შესაძლებლობათა ფანჯარა“, საზოგადოებრივი განვითარების პარადიგმის ცვლილების სტიმულია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ:

ბერძნულ ტრანსკრიფციაში კრიზისი ნიშ-

<sup>2</sup> Финансовый кризис и провалы современной экономической науки. Вопросы экономики, 2010, №6, с. 10.

<sup>3</sup> Гж. Колодко. Неoliberalизм и мировой экономический кризис. Вопросы экономики, 2010, №3, с. 61.

ნავს „გადაწყვეტას“ ან „შემობრუნების პუნქტს“;

**ლათინურში** „გაყოფას“ ან „გარდატეხას“; **ჩინურში** ერთდროულად - „საფრთხეს“ და „შესაძლებლობას“<sup>4</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კრიზისის შეიძლება განხილული იქნეს არა მხოლოდ დამანგრეველი, არამედ შემოქმედებითი პროცესის სახითაც. ამით იგი განხვავდება „კატასტროფისაგან“, რომელიც კრიზისის მხოლოდ დესტრუქციული კომპონენტია.

## მეხუთე:

ეკონომიკური კრიზისები მრავალგვარია, ისევე, როგორც მათი გამომწვევი ფაქტორები. ამასთანავე, ყველა ფაქტორი არ მოქმედებს ერთდროულად და თანაბარი ძალით. ეკონომიკური კრიზისის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია იმ ერთი ან რამდენიმე ფაქტორის გამოყოფა, რომელიც იწვევს კრიზისს და განსაზღვრავს მის ხასიათს.

მეცნიერების განვითარების ხანგრძლივი ისტორია გვიჩვენებს, რომ სამყაროში ყველაფერი ციკლურად ვითარდება, მათ შორის ეკონომიკა და საზოგადოებაც. სწორედ ეს ფაქტია წინა პლანზე წამოწეული რუსი მეცნიერის **ნ. კონდრატიევის** „კონიუნქტურის დიდი ციკლების“ ანუ „ეკონომიკური დინამიკის გრძელი ტალღების“ თეორიაში.

მისი აზრით, ეკონომიკური კონიუნქტურების დინამიკას რიტმულობა ახასიათებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ აღმაველ ფაზას თან მოსდევს დაქვეითება და პირიქით. შესაძლებელია ამგვარი რყევის რამდენიმე ციკლის გამოყოფა:

**გრძელვადიანი, ანუ ცივილიზაციური** ციკლი, რომელიც რამდენიმე ასეულ წელიწადს მოიცავს;

**დიდი ანუ გრძელვადიანი** - 50-90 წლიანი ციკლი და

**პატარა (მოკლევადიანი) ე. წ. „სამრეწველო-კაპიტალისტური ციკლი“** 8-11 წლიანი პერიოდით.

ციკლის სამივე აღნიშნული სახეობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ამასთანავე, ზეგრძელვადიანი და გრძელვადიანი ეკონომიკური დასოციალური დინამიკის ანალიზი საშუალებას იძლევა შესწავლილი იქნეს წარმოების ტექნოლოგიური წყობების ცვლილების რიტმი და მისით განპირობებული მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ტურბულენტობა.

ნ. კონდრატიევის თეორიის თანახმად, დიდი

ციკლების მატერიალური საფუძველია ძირითადი კაპიტალური საქონლის მასობრივი განახლება, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება წარმოების ტექნოლოგიური საფუძველების (წყობების) შეცვლის პროცესს: „დიდი ციკლის აღმაველი ტალღა გამოწვეულია ძირითადი კაპიტალური საქონლის განახლებით და გაფართოებით; საზოგადოების ძირითადი მწარმოებელი ძალების რადიკალური ცვლილებით და გადაჯგუფებით“<sup>5</sup> - წერს მეცნიერი.

ნ. კონდრატიევი მიიხვედდა, რომ ეკონომიკის გრძელვადიანი ციკლური განვითარების მთავარი იმპულსები ინოვაციებიდან მომდინარეობს, მთელ ეკონომიკაში ვრცელდება და იწვევს კუმულაციურ ეფექტს. ამ შეხედულებით, კონდრატიევის „დიდი ტალღების“ თეორია ძალიან უახლოვდება ი. შუმპეტერის ინოვაციების ევოლუციურ თეორიას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების მიზეზთა ანალიზის თვალსაზრისით.

თანამედროვე ზოგადცივილიზაციურ გარდასვალ პერიოდში ერთმანეთს ემთხვევა ორი უმნიშვნელოვანესი პროცესი - გლობალიზაცია და წარმოების მეხუთე ტექნოლოგიური წყობიდან **მექექსეზე** გადასვლა, რაც არსებითად განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათს და განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას. გრძელი ტალღების კონცეფციის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკა ამჟამად იმყოფება კონდრატიევის ერთ-ერთი დიდი ტალღის ყველაზე დაღმავალ ფაზაში, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ახალი აღმაველი ტალღის დასაწყისს და ახალი მეექვსე ტექნოლოგიური წყობის საწყის წერტილს. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, გლობალიზაციის ეპოქის ეს 10-15 წელიწადი ასეთი არამყარი და უხვი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისებით.

ნ. კონდრატიევის „დიდი ტალღის“ დაღმავალი ფაზის დაწყება 1970-იან წლებს უკავშირდება და ეკონომიკის ზრდის ტემპების სისტემატიური დაქვეითების მკვეთრად გამოხატული ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, გაეროს ექსპერტთა გაანგარიშებით მსოფლიო მშპ-ს ზრდის წლიური ტემპი 1960-იან წლებში შეადგენდა 5,4 პროცენტს, 1970-იან წლებში იგი შემცირდა 4,1 პროცენტამდე, 1980-იან წლებში - 3,0 პროცენტამდე, ხოლო 1990-იან წლებში - 2,3 პროცენტამდე.

იგივე ტენდენცია გრძელდებოდა XXI საუკუნის პირველ ათწლეულში და უფრო მეტიც, 2007-2008 წლების გლობალური ფინანსურ-ეკო-

<sup>4</sup> *Анатомия кризисов. От редактор В. М. Котляков. М., Наука, 1999, с. 31.*

<sup>5</sup> *Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. М. Экономика, 1997, с. 390-391.*

ნომიკური კრიზისის შედეგების გათვალისწინებით, ეს მაჩვენებელი 1,7 პროცენტამდე დაეცა, ანუ დაახლოებით 50 წლის მანძილზე ადგილი აქვს მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპის 3-ჯერ უფრო მეტად შემცირებას.

ნ. კონდრატევის თეორიიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მსოფლიო ეკონომიკის რყევების ამპლიტუდა 7-8 წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება და ახალი მწვავე გლობალური ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისების წარმოშობის ალბათობაც მაღალი იქნება. დაახლოებით 2020 წლის შემდეგ დაიწყება დიდი ტალღის აღმავალი ფაზა, ეკონომიკური ზრდა მყარ ხასიათს შეიძენს და პიკს მიაღწევს 2030 წლისათვის. ამის შემდეგ კვლავ დაიწყება დაღმავალი ფაზა, რომლის „ფსკერიც“ 2050 წლისათვის დადგება და ა. შ.

ეკონომიკის გლობალიზაცია წარმოშობს მსოფლიო ეკონომიკაში კონდრატევის ციკლური ტალღების სინქრონიზაციას და როგორც ეკონომიკურ აღმავლობას, ისე დაღმა სვლას მკვეთრად გამოხატული გლობალური ტენდენცი-

ის ხასიათს შესძენს.

ამრიგად, ეკონომიკური მეცნიერების მიერ ახალი პარადიგმის საფუძველზე აუცილებლად უნდა იქნეს აღიარებული და შესწავლილი ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ გლობალიზაციისა და პოსტინდუსტრიულ გარდამავალ პერიოდში ციკლური რყევებისა და კრიზისების წარმოშობის გარდაუვალობას. სწორედ ეკონომიკური კრიზისების თეორიის შემოქმედებითი გაღრმავების გზითაა შესაძლებელი ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პროგრამების შემუშავება. ანტიკრიზისული მართვა და კრიზისების მართვა ამ პროგრამების ორგანულ შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ეს საშუალებას მოგვცემს წინასწარ განვჭვრიტოთ ეკონომიკური კრიზისების მოახლოება, მისი სიღრმე, სწორი დიაგნოზი დაფუძვალთ მათ და შესაბამისად, მოვახერხოთ კრიზისული ფაზის მაქსიმალურად სწრაფად და მინიმალური დანაკარგებით გავლად.

## ბამოყენებული ლიტერატურა

- 1 В. Куликов „Цаголоскаиа школа” и ее нынешнее значение. Российский экономический журнал, 2004, №4.
- 2 Финансовый кризис и провалы современной экономической науки. Вопросы экономики, 2010, №6.
- 3 Гж. Колодко. Неoliberalизм и мировой экономический кризис. Вопросы экономики, 2010, №3.
- 4 Анатомиа кризисов. От редактор В. М. Котляков. М., Наука, 1999.
- 5 Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. М. Экономика, 1997.